გენდერული თანასწორობა და ქალთა უფლებები

ევროპის საბჭოს სტანდარტები

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE

ᲒᲔᲜᲓᲔᲠᲣᲚᲘ თანასწორობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადამიანის უფლებების დაცვაზე, დემოკრატიის ფუნქციონირებაზე, კანონის უზენაესობის პატივისცემასა და სოციალურ კეთილდღეობაზე. ადამიანის უფლებებისა და გენდერული თანასწორობის სფეროში ევროპის საბჭოს საქმიანობის შედეგად შეიქმნა კომპლექსური სამართლებრივი სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები, რომლის მიზანსაც წარმოადგენს ევროპის საბჭოს ქვეყნებში და არა მხოლოდ, ქალების წინსვლისა და გაძლიერების და გენდერული თანასწორობის ეფექტური რეალიზაციის მიღწევა.

ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲙᲝᲜᲕᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘ

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია (სტამბოლის კონვენცია, 2011 წ.) ყველაზე მასშტაბური საერთაშორისო ხელშეკრულებაა, რომელიც ებრძვის ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმას. ძალადობის პრევენცია, მსხვერპლთა დაცვა, მოძალადეთა დასჯა და შიდასახელმწიფოებრივ დონეზე ინტეგრირებული პოლიტიკის არსებობა კონვენციის ქვაკუთხედს წარმოადგენს. ის ღონისძიებები, რომელთა განხორციელებასაც მოითხოვს სტამბოლის კონვენცია, ემყარება წინაპირობას, რომლის თანახმადაც ადამიანის უფლებების დარღვევის აღნიშნული მძიმე ფორმის პრევენცია შესაძლებელია მხოლოდ ქალებსა და კაცებს შორის რეალური თანასწორობის მიღწევით და ძალთა დინამიკასა და დამოკიდებულებებში შესაბამისი ცვლილებების განხორციელებით. ამრიგად, ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრა შეუძლებელია ისეთ პოლიტიკასა და ღონისძიებებში ინვესტირების გარეშე, რომელთა მიზანსაც წარმოადგენს ქალებსა და კაცებს შორის თანასწორობის ხელშწყობა. სტამბოლის კონვენცია ითვალისწინებს ორი სვეტისგან შემდგარ მონიტორინგის მექანიზმს, რომელიც ახდენს კონვენციის იმპლემენტაციის შეფასებას და გაუმჯობესებას: ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებზე მომუშავე დამოუკიდებელი ექსპერტთა ჯგუფი (GREVIO) და მხარეთა კომიტეტი.

ევროპის საბჭოს კონვენცია სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ (ლანსაროტეს კონვენცია, 2007 წ.) არის პირველი ხელშეკრულება, რომელიც ახდენს ბავშვების წინააღმდეგ სექსუალური დანაშაულების ყველა ფორმის კრიმინალიზებას. კერძოდ, იგი ახდენს შემდეგი სახის ქმედებების კრიმინალიზაციას: სექსუალური ურთიერთობის დამყარება ბავშვთან, ბავშვთა პროსტიტუცია, ბავშვთა პორნოგრაფია, ბავშვის დაყოლიება სექსუალური მიზნებისთვის და სექს-ტურიზმისთვის. ლანსაროტეს კონვენცია ადგენს, რომ პირის წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელება გარკვეული დანაშაულებისათვის შესაძლებელია იმ შემთხვევაშიც, როდესაც ამ დანაშაულების ჩადენა საზღვარგარეთ მოხდა. პრევენციული ზომები მოიცავს ბავშვებთან მომუშავე ადამიანების სქრინინგს, რეკრუტმენტსა და მომზადებას; ბავშვებისათვის რისკების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას და სწავლებას, თუ როგორ დაიცვან საკუთარი თავი; დამნაშავეებისა და პოტენციური დამნაშავეებისათვის განკუთვნილი ღონისძიებების მონიტორინგს. კონვენციის ეფექტურ იმპლემენტაციას ზედამხედველობას უწევს კონვენციის მხარეთა კომიტეტი - „ლანსაროტეს კომიტეტი“.

ევროპის საბჭოს კონვენცია ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ (2005 წ.) მიზნად ისახავს სექსუალური, შრომითი და სხვა ტიპის ექსპლუატაციის მიზნებისთვის ქალებით, კაცებითა და ბავშვებით ვაჭრობასთან ბრძოლას და პრევენციას, ისევე, როგორც მსხვერპლთა დაცვასა და ტრეფიკიორთა სამართლებრივ დევნას. იგი მოიცავს დისკრიმინაციის ამკრძალავ დებულებას (მუხლი 3) და კონვენციის მხარეთა მოვალეობას, ხელი შეუწყონ გენდერულ თანასწორობას და გენდერული მეინსტრიმინგი გამოიყენონ ღონისძიებების დაგეგმვის, იმპლემენტაციისა და შეფასების პროცესში. კონვენციის საფუძველზე შექმნილია მონიტორინგის დამოუკიდებელი მექანიზმი, რომელიც აფასებს სახელმწიფო მხარეების მიერ დებულებების პრაქტიკაში განხორციელებას და შედგება ორი სვეტისგან: ექსპერტთა ჯგუფი ტრეფიკინგის საკითხებში (GRETA) და მხარეთა კომიტეტი.

ევროპის სოციალური ქარტია (1961 წ.) უზრუნველყოფს ეკონომიკური და სოციალური უფლებებით სარგებლობას, განსაკუთრებით საცხოვრებლის, ჯანმრთელობის, განათლების, დასაქმების, იურიდიული და სოციალური დაცვისა და ადამიანების გადაადგილების სფეროებში. აღნიშნული უნდა განხორციელდეს რაიმე ნიშნით (განსაკუთრებით, სქესის ნიშნით) დისკრიმინაციის გარეშე. ევროპის სოციალური ქარტია, რომლის შესწორებაც მოხდა 1996 წელს, უზრუნველყოფს ქალებსა და კაცებს შორის თანასწორობას განათლების, შრომისა და ოჯახური ცხოვრების სფეროში, და ითვალისწინებს პოზიტიურ

ღონისძიებებს თანაბარი შესაძლებლობებისა და შრომის თანასწორი ანაზღაურების უფლების უზრუნველსაყოფად. ევროპის სოციალურ უფლებათა კომიტეტი ახდენს შიდასახელმწიფოებრივ დონეზე არსებული მდგომარეობის ქარტიასთან შესაბამისობის მონიტორინგს, ანგარიშგების სისტემისა და კოლექტიური საჩივრების პროცედურის საშუალებით.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია (1950) წარმოადგენს ევროპის ძირითად ხელშეკრულებას ადამიანის უფლებების შესახებ. იგი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების გარანტიას იძლევა. კონვენციის 1-ლი მუხლი ადგენს მხარეთა მოვალეობას, უზრუნველყონ კონვენციით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები „ყველასთვის, მათი იურისდიქციის ფარგლებში.“ ამ უფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილი უნდა იქნას რაიმე ნიშნით, მათ შორის, სქესის ნიშნით (მუხლი 14) დისკრიმინაციის გარეშე. მე-12 ოქმი განამტკიცებს დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპს - კერძოდ, ოქმის 1-ლი მუხლი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კანონით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობა შესაძლებელი უნდა იყოს რაიმე ნიშნით, მათ შორის, სქესის ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განიხილავს ინდივიდუალურ ან სახელმწიფოს მიერ წარდგენილ საჩივრებს კონვენციით გათვალისწინებული სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების სავარაუდო დარღვევების შესახებ.

მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციები წევრი სახელმწიფოების მიმართ

რეკომენდაცია Rec(2019)1 სექსიზმთან ბრძოლისა და პრევენციის შესახებ შეიცავს საერთაშორისო დონეზე სექსიზმის პირველ განმარტებას. კერძოდ, რეკომენდაციის თანახმად, სექსიზმი არის ნებისმიერი ქმედება, ჟესტი, ვიზუალური გამოსახულება, ზეპირი ან წერილობითი განცხადება, პრაქტიკა ან ქცევა, რომლებიც ეფუძნება ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის არასრულფასოვნების იდეას სქესის ნიშნით. რეკომენდაცია ხაზს უსვამს კავშირს სექსიზმსა და ქალთა მიმართ ძალადობას შორის და წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებს, მოახდინონ სექსიზმზე რეაგირება ისეთ სფეროებში, როგორებიცაა: ენა და კომუნიკაცია; მედია, ინტერნეტი და სოციალური მედია; რეკლამა და კომუნიკაციის სხვა საშუალებები; სამუშაო ადგილი; საჯარო სექტორი; მართლმსაჯულების სექტორი; საგანმანათლებლო დაწესებულებები; კულტურა და სპორტი; და პირადი ცხოვრება. რეკომენდაცია წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებს, მოახდინონ ეროვნულ დონეზე სექსიზმთან ბრძოლის პოლიტიკის იმპლემენტაციის მონიტორინგი და პერიოდული ანგარიშები წარუდგინონ ევროპის საბჭოს.

რეკომენდაცია Rec(2017)9 აუდიო-ვიზუალურ სექტორში გენდერული თანასწორობის შესახებ პირველი პან-ევროპული რეკომენდაციაა, რომელიც შეეხება გენდერული თანასწორობის საკითხებს აუდიო-ვიზუალურ ინდუსტრიაში, მათ შორის, დაბალ ინფორმირებულობას; ცნობიერ და ქვეცნობიერ გენდერულ მიკერძოებას ყველა დონეზე; და დაფინანსების არათანაბარ განაწილებას. რეკომენდაცია სახელმწიფოებს მოუწოდებს, მოახდინონ საკუთარი კანონმდებლობისა და პოლიტიკის მიმართულებების გადახედვა; მონაცემების შეგროვება, მონიტორინგი და გამოქვეყნება; კვლევის მხარდაჭერა; მიმდინარე მედია წიგნიერების წახალისება; და ანგარიშვალდებულების პროცესების გაუმჯობესება. რეკომენდაცია, ასევე, ითვალისწინებს ინსტრუმენტებს გენდერული თანასწორობის სფეროში ცოდნის გასაღრმავებლად და სერიული მონიტორინგის მეთოდებსა და ინდიკატორებს მონაცემთა შეგროვებისა და მიგნებების საფუძველზე თანმიმდევრული ინიციატივების განხორციელების მხარდასაჭერად.

რეკომენდაცია Rec(2015)2 სპორტში გენდერული მეინსტრიმინგის შესახებ წევრ-სახელმწიფოებს მოუწოდებს, ხელი შეუწყონ და წაახალისონ ისეთი პოლიტიკა და პრაქტიკა, რომელიც სპორტის ყველა სფეროსა და ყველა დონეზე გენდერული მეინსტრიმინგის დანერგვას, იმპლემენტაციასა და განმტკიცებას ისახავს მიზნად. აღნიშნული მოიცავს კანონმდებლობას, პოლიტიკას და პროგრამებს, მონაცემთა შეგროვებას და კვლევას სპორტში ქალების და ბავშვების ჩართულობის შესახებ; ცნობიერების ამაღლებასა და ტრენინგს გენდერული თანასწორობის საკითხებზე, სპორტის სფეროში ჩართული საჯარო დაწესებულებებისა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის.

რეკომენდაცია Rec(2013)1 გენდერული თანასწორობისა და მედიის შესახებ მოიცავს სახელმძღვანელო პრინციპებსა და შემოთავაზებულ ღონისძიებებს, მედიაში გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისა და გენდერულ სტერეოტიპებთან ბრძოლისთვის. რეკომენდაცია განკუთვნილია როგორც წევრი სახელმწიფოების, ისე მედია ორგანიზაციებისათვის. იგი ითვალისწინებს ღონისძიებებს ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა: გენდერული თანასწორობის პოლიტიკისა და კანონმდებლობის გადახედვა და შეფასება; მედიაში გენდერული თანასწორობის, ინფორმაციის მიწოდებისა და კარგი პრაქტიკის ხელშეწყობის შესახებ ეროვნული ინდიკატორების მიღება და იმპლემენტაცია; ანგარიშვალდებულების არხები, კვლევა, მედია წიგნიერება და აქტიური მოქალაქეობა.

რეკომენდაცია Rec(2012)6 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგონების უფლებების დაცვისა და ხელშეწყობის შესახებ წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებს, მიიღონ საკანონმდებლო ღონისძიებები და განახორციელონ პოზიტიური ქმედებები ყველა სფეროში შშმ ქალების და გოგონების მონაწილეობის ხელშესაწყობად. ვინაიდან შშმ ქალები და გოგონები, შესაძლოა, განიცდიდნენ მრავალმხრივ დისკრიმინაციას, რეკომენდაცია ითვალისწინებს ღონისძიებებს ისეთ სფეროებში, როგორიცაა: განათლება და ტრენინგი; დასაქმება და ეკონომიკური მდგომარეობა; ჯანდაცვა; სოციალურ დაცვაზე წვდომა; სექსუალური და რეპროდუქციული უფლებები; დედობა და ოჯახური ცხოვრება; მართლმსაჯულებაზე წვდომა და ძალადობისგან დაცვა; კულტურაში, სპორტში, დასვენებასა და ტურიზმში მონაწილეობა; ცნობიერების ამაღლება და დამოკიდებულებების შეცვლა.

რეკომენდაცია Rec(2010)10 კონფლიქტის პრევენციასა და მოგვარებაში და მშვიდობის ხელშეწყობაში ქალებისა და კაცების როლის შესახებ ითვალისწინებს სახელმძღვანელო პრინციპებს იმ სხვადასხვა როლის შესახებ, რომელიც ქალებსა და კაცებს ენიჭებათ კონფლიქტის პრევენციაში, მოგვარებაში და მშვიდობის ხელშეწყობაში და სტრატეგიებისა და მექანიზმების განვითარებაში, შემდეგ სფეროებში: ადამიანის უფლებების პატივისცემა და კონფლიქტის არა-ძალადობრივი გზით გადაწყვეტა; გენდერული ნიშნით მოტივირებულ ძალადობასთან ბრძოლა; ქალებისა და კაცების დაბალანსებული მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში; და ქალების გაძლიერება.

რეკომენდაცია Rec(2008)1 ჯანდაცვის პოლიტიკაში გენდერული განსხვავებების გათვალისწინების შესახებ წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებს, გენდერი გახადონ პრიორიტეტული მიმართულება ქალებისა და კაცების ჯანმრთელობის სპეციფიურ საჭიროებებზე რეაგირების გზითა და ჯანდაცვის პოლიტიკასა და სტრატეგიებში გენდერული მეინსტრიმინგით. რეკომენდაცია წევრ სახელმწიფოებს, ასევე, მოუწოდებს, ხელი შეუწყონ გენდერული ცნობიერებისა და კომპეტენციის ამაღლებას ჯანდაცვის სექტორში, რათა უზრუნველყოფილი იქნას გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალებისა და კაცების დაბალანსებული მონაწილეობა, და მოახდინონ ჯანდაცვის პოლიტიკაში გენდერული მეინსტრიმინგის კუთხით გაწეული პროგრესის მონიტორინგი და შეფასება. რეკომენდაციაში წარმოდგენილი ღონისძიებები მოიცავს გენდერულ ჭრილში ჯანდაცვის ანგარიშების რეგულარულად მომზადებას, მათ შორის, გენდერულ ანალიზს და ჯანდაცვის ეროვნული ანგარიშებისთვის მონაცემთა შეგროვების პროცესში გენდერულად სენსიტიური ინდიკატორების გამოყენებას.

რეკომენდაცია Rec(2007)17 გენდერული თანასწორობის სტანდარტების და მექანიზმების შესახებ ითვალისწინებს ღონისძიებებს პრაქტიკაში გენდერული თანასწორობის მისაღწევად. იგი ადგენს ზოგად ღონისძიებებს პასუხისმგებლობებთან, გამჭვირვალობასთან, გენდერულ მეინსტრიმინგთან და არა-სექსისტურ ენასთან დაკავშირებით. რეკომენდაცია წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებს, მიიღონ გენდერული თანასწორობის სტანდარტები ისეთ სფეროებში, როგორიცაა პირადი და ოჯახური ცხოვრება; განათლება; მეცნიერება და კულტურა; ეკონომიკური ცხოვრება; სოციალური დაცვა; ჯანმრთელობა, მათ შორის, სექსუალური და რეპროდუქციული საკითხები; ქალთა მიმართ ძალადობა; ადამიანების ტრეფიკინგი; კონფლიქტი და პოსტ-კონფლიქტური სიტუაციები; და მოწყველადი ჯგუფები, რომელთაც მრავალმხრივი დისკრიმინაციის საფრთხე ემუქრებათ. რეკომენდაცია, ასევე, შეეხება დამატებითი სტრატეგიების მნიშვნელობას, როგორიცაა, მაგალითად, გენდერული თანასწორობის ეროვნული ინსტიტუციური მექანიზმები; კვლევა და ინსტრუმენტები პროგრესის შესაფასებლად; და თანამშრომლობის დამყარება.

რეკომენდაცია Rec(2007)13 განათლების სფეროში გენდერული მეინსტრიმინგის შესახებ წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებს, ხელი შეუწყონ და წაახალისონ ღონისძიებები, რომელიც მიმართულია განათლების სისტემაში, ყველა დონეზე, გენდერული მეინსტრიმინგის განხორციელებისკენ. კერძოდ, ამ მხრივ რეკომენდაციაში აღნიშნულია ღონისძიებები, რომელიც უზრუნველყოფს ეფექტურ გენდერულ მეინსტრიმინგს განათლებაში, მათ შორის, მაგალითად, საკანონმდებლო ბაზასა და პოლიტიკაში, სკოლის ორგანიზაციულ მოწყობაში, სკოლის კურიკულუმებში, სასწავლო მეთოდებში, კარიერულ გზამკვლევსა და საგანმანათლებლო სფეროში მომუშავე სპეციალისტების ტრენინგში.

რეკომენდაცია Rec(2003)3 პოლიტიკური და საზოგადოებრივი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ქალებისა და კაცების დაბალანსებული მონაწილეობის შესახებ ქალებისა და კაცების დაბალანსებულ მონაწილეობას განსაზღვრავს, როგორც თითეული სქესის მინიმუმ 40%-იან წარმომადგენლობას გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოში, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. წევრი სახელმწიფოებისათვის რეკომენდებულია საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და მხარდაჭერითი ღონისძიებები, რათა მიღწეული იქნას დაბალანსებული მონაწილეობა და გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების თანაბარი განაწილება ქალებსა და კაცებს შორის. რეკომენდაციის განხორციელება ექვემდებარება მონიტორინგს, რათა წევრ სახელმწიფოებს მიეწოდოთ ინფორმაცია განხორციელებული პროგრესისა და არსებული ხარვეზების შესახებ.

რეკომენდაცია Rec(2002)5 ქალების ძალადობისგან დაცვის შესახებ განსაზღვრავს ღონისძიებებს ქალთა მიმართ ყველა ფორმის ძალადობის აღმოსაფხვრელად, მათ შორის: საკანონმდებლო და პოლიტიკის ღონისძიებებს, რომელიც უზრუნველყოფს ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციას და გამოძიებას; მსხვერპლთა მხარდაჭერას; მოძალადეებთან მუშაობას; ცნობიერების ამაღლებას, განათლებასა და სწავლებას; და შესაბამისი მონაცემების შეგროვებას.

რეკომენდაცია No. R(98)14 გენდერული მეინსტრიმინგის შესახებ წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებს, შექმნან ხელშემწყობი გარემო და პირობები გენდერული მეინსტრიმინგისთვის, ევროპის საბჭოს გენდერული მეინსტრიმინგის სპეციალისტთა ჯგუფის ანგარიშის (1998 წ.) საფუძველზე. ანგარიშში წარმოდგენილია გენდერული მეინსტრიმინგის კონცეპტუალური ჩარჩო, მისი განმარტება და განხორციელების მეთოდოლოგია, რომელსაც თან ახლავს კარგი პრაქტიკის მაგალითები.

რეკომენდაცია No. R(96)51 პროფესიული და ოჯახური ცხოვრების დაბალანსების შესახებ წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებს, ქალებისა და კაცებისთვის უზრუნველყონ პირობები პროფესიული და ოჯახური ცხოვრების უკეთ დაბალანსებისთვის. შემოთავაზებული ღონისძიებები მოიცავს სამუშაო დროის ორგანიზებას (მოქნილი დასაქმების პირობები, დეკრეტული შვებულება დედებისთვის და მამებისთვის); შრომის ბაზარზე ქალებსა და კაცებს შორის დისკრიმინაციის გაუქმება; სათანადოდ დაფინანსებული სერვისების განვითარება, რომლითაც ისარგებლებენ ოჯახები; სოციალური დაცვის სქემებისა და საგადასახადო სისტემების ადაპტაცია დასაქმების ტიპის მიხედვით; სასკოლო დროისა და კურიკულუმის ორგანიზება.

რეკომენდაცია No. R(90)4 სექსისტური ენის აღმოფხვრის შესახებ წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებს, ხელი შეუწყონ ისეთი ენის გამოყენებას, რომელიც ასახავს ქალებსა და კაცებს შორის თანასწორობის პრინციპს; მიიღონ ღონისძიებები, რომელიც წაახალისებს არა-სექსისტური ენის გამოყენებას, მათ შორის, სამართალშემოქმედების, საჯარო ადმინისტრირების, განათლებისა და მედიის სფეროებში.

რეკომენდაცია No. R(85)2 სქესის ნიშნით დისკრიმინაციისგან სამართლებრივი დაცვის თაობაზე წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებს, მიიღონ ან განამტკიცონ ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობის ხელშეწყობის ღონისძიებები, მათ შორის, კანონმდებლობის გზით, ისეთ სფეროებში, როგორიცაა: დასაქმება; სოციალური დაცვა და პენსიები; გადასახადები; სამოქალაქო სამართალი; მოქალაქეობის მოპოვება და დაკარგვა; და პოლიტიკური უფლებები. რეკომენდაციის დანართში მითითებულია სპეციალური დროებითი ღონისძიებების მიღების განხილვის საჭიროება, რათა დაჩქარდეს ქალებსა და კაცებს შორის de facto თანასწორობის რეალიზაცია.

რეკომენდაცია No. R(79)10 ქალი მიგრანტების შესახებ წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებს, მოახდინონ ეროვნული კანონმდებლობის და რეგულაციების სრულად შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან. იგი, ასევე, იძლევა ისეთი ღონისძიებების დანერგვის რეკომენდაციას, რომელიც მიგრანტ ქალებს მიაწვდის სათანადო ინფორმაციას, მოახდენს სამუშაო პირობებში მათი დისკრიმინაციის პრევენციას, ხელს შეუწყობს სოციალურ-კულტურულ ინტეგრაციას და პროფესიულ განათლებასა და ტრენინგზე წვდომას.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, ეწვიეთ ჩვენს ვებგვერდს:
http://www.coe.int/equality

ან დაგვიკავშირდით ელ-ფოსტის საშუალებით, შემდეგ მისამართზე:
gender.equality@coe.int

KAT

www.coe.int

ევროპის საბჭო ადამიანის უფლებათა წამყვანი ორგანიზაციაა კონტინენტზე. მასში გაერთიანებულია 47 სახელმწიფო, რომელთაგან 28 ევროპის კავშირის წევრია. ევროპის საბჭოს ყველა წევრმა ქვეყანამ ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას. ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში კონვენციის განხორციელებას ზედამხედველობას უწევს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო.

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE